F567 ა/3678

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოთა ქალი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-13 წელი

№ 3 (211)

თებერვალი, 1969 წელი



ქართველი სტუდენტი-ახალგაზრდოგა.

საქართველოს სსრ საბჭოთა ქალთა კომიტეტის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

დედა-საქართველოს ამბები

ჭიათურა შენდება

ნახევარი მილიონი ტონა მადანი წელიწადში! ასეთია მანგანუმის ახალი უბნების სიმძლავრე, რომლებიც საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ითხვისისა და დარკვეთის მაღაროებში. მადანში ლითონების მდიდარი შემცველობა საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ იგი უაღრესად მტკიცე და მედეგი ფოლადების მისაღებად.

ჭიათურაში ყოველწლიურად დგება მწყობრში მანგანუმის ახალი სიმძლავრეები. დიდი ყურადღება ექცევა ქალაქის კეთილმოწყობილობასაც. ბევრი ქუჩა რეკონსტრუირებულია, აშენდა თანამედროვე საცხოვრებელი სახლები. ასობით მაღაროელი 1969 წელს შეხვდა ახალ ბინებში. ერთ-ერთ ქუჩაზე ამას წინათ აშენდა ავტოვაგზალი, საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი. სხვა ქუჩაზე აღიმართა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის ლამაზი შენობა. ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ადმინისტრაციული შენობის მახლობლად დგას მაღაროელთა მონუმენტური კულტურის სასახლე. დამთავრდა ათიათასადგილიანი სტადიონის მშენებლობა, რომელსაც აქვს საცურაო აუზიც.

ადით მაღლობზე და თქვენს თვალწინ წარმოგიდგება მრავალსართულიანი სახლები, განახლებული ქუჩები. არქიტექტურულ ანსამბლში შერწყმულია პიონერთა სასახლე, უნივერმაღი, კინოთეატრი, საავადმყოფო, სასტუმრო, სამი სკოლა, საბავშვო ბაგა... გაჰყავთ საჰაერო-საბაგირო გზების ახალი ხაზები.

ჭიათურელები ადიდებენ სამშობლოს თავდადებული შრომით. ყოველწლიურად ისინი იძლევიან ათეულ ათასობით ტონა მანგანუმს დავალების გადამეტებით.

იზრდება ექსპორტი

შესანიშნავი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული წელი თბილისის სამხმელო მოწყობილობის ქარხნის კოლექტივმა. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია რამდენიმე ასწმენდი დოლი და ინერციული გისოსი. ათობით ჩინებული მანქანა გაიგზავნა **ერაყში, კუბაში, გულგარეთში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და ტანზანიაში.**

საწარმოში დიდი ყურადღება ექცევა ახალი პროდუქციის ათვისებას. მარტო გასულ წელს ათვისებულია ხუთი ახალი მანქანა. ჩვენი ქვეყნის სამხმელო მრეწველობას სჭირდება მიწის მოსამზადებელი მანქანები. ქარხანას მიეცა დავალება ათვისებინა ასეთი მანქანები. ათვისების პროცესში შეტანილი იყო იმდენი მნიშვნელოვანი და საჭირო შესწორება, რომ ამ მანქანის თვითღირებულება რამდენიმე პროცენტით შემცირდა.

წლითიწლობით იზრდება ქარხნის საექსპორტო მიწოდებები. საწარმოში შექმნილია სპეციალური საექსპორტო უბანი, რომელსაც ხელმძღვანელობს გ. აბესაძე. ახლა აქ ამზადებენ მიწის მოსამზადებელ მანქანას, რომელსაც ვიეტნამში გაგზავნიან.

ბუნებრივი გაზი საქართველოში

გაზის ექვსი ახალი ჭაბურღილის ბურღვას დაიწყებენ მიმდინარე წელს ქართველი გეოლოგები თელეთში. მარშან მივიღეთ გაზის პირველი ნაკადი და გავბურღეთ 3.500-5.000 მეტრი საპროექტო სიღრმის ხუთი სადაზვერვო ჭაბურღილი, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს უფროსის მოადგილემ **ო. თაყაიშვილმა.** — ამჟამად ყველა ამ ჭაბურღილში მიღწეულია საპროექტო სიღრმის თითქმის ნახევარი. სამ ჭაბურღილში ბურღვის დამთავრება და ჭაბურღილების გამოცდა გაზის დინებაზე განზრახულია მიმდინარე წლის ბოლომდე. სამუშაოთა წარმოებისათვის გაზის სადაზვერვო ექსპედიცია აღჭურვილია უახლესი საბურღი დანადგარებით.

1970 წლის დამლევისათვის მიღებული იქნება აღნიშნული გაზის საბადოს წინასწარი სამრეწველო შეფასება. სპეციალისტთა აზრით ეს საბადო ფრიად პერსპექტიულია.

გაზის დაზვერვა მიმდინარეობს აჭარა-თრიალეთის ზონის მთელ აღმოსავლეთ ნაწილში. სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს დავალებით საქართველოს გეოლოგიის სამმართველომ სრულიად საკავშირო ნავთობის გეოლოგიის სადაზვერვო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1969-1975 წლებში რეგიონალური გამოკვლევების გენერალური პროექტი.

ჩრდილოეთ კავკასიიდან და აზერბაიჯანიდან მიღებული ბუნებრივი გაზი ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სახალხო მეურნეობის საჭიროებას. ამიტომ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს გაზის საბადოების გამოვლინებას თბილისის ახლო რაიონში, სადაც დიდად განვითარებული მრეწველობა და მოქმედი მაგისტრალური გაზსადენებია.

დეგუსტაცია ქალაქ ბრიუსელში

ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში გაიმართა ქართული და მოლდავური ღვინოების სარეკლამო დეგუსტაცია, რომელიც მოაწყო სრულიად საკავშირო გაერთიანება „სოიუზპლოდოინპორტმა“ ბელგიაში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობასთან და საბჭოთა კავშირ-ბელგიის ფირმა „ბელსოსთან“ ერთად.

დეგუსტაციას დაესწრნენ ბელგიის მრავალი ფირმის წარმომადგენლები, სავაჭრო საწარმოთა მფლობელები. დეგუსტაციის მსვლელობა გააშუქა ბელგიის პრესამ და ტელევიზიამ. ჩვენი რესპუბლიკიდან დეგუსტაციას ესწრებოდა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საგარეო ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ი. მერაბიშვილი.

უნდა აღინიშნოს, — უთხრა მან ჩვენს კორესპონდენტს, — რომ ასეთი ღონისძიება ბელგიაში პირველად განხორციელდა. იგი გამოწვეულია იმით, რომ ამ ბოლო დროს ბელგიაში სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა ღვინოები. წარმოდგენილი ქართული ღვინოებიდან ბელგიელ მყიდველებს განსაკუთრებით მოეწონათ „წინანდალი“, „გურჯაანი“, „მუკუზანი“, „ნაფარეული“. ისინი იყიდება საფირმო მაღაზია „რუსულ სახლში“, სადაც მიმდინარეობდა სარეკლამო დეგუსტაცია.



საზამთრო არდადეგების შემდეგ ისევ ახმაურდა დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების აუდიტორიები, კაბინეტ-ლაბორატორიები, დერეფნები. სურათზე: თბილისის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ლექციაზე.

გაიუყრელნი

ასფალტიანი ტრასა კონდოლისაკენ მიდის. აქაც სწვდება ალაზნის ველის სურნელება. კეკლუცობენ ვენახები. ნიავი აშრიალებს მამაპაპაურ ხეებს. შემოდგომით კალთადაბერტყილი ორღობე მიგვაცილებს განახლებული სოფლისაკენ. ზამთარშიც ლამაზია იგი. გზად ჭაბუკი შემოგვეყარა. ძველი ქართული ჩვეულებისამებრ ერთმანეთს მივესალმეთ. მერე რა, რომ უცნობია. ასევე უცნობნი იყვნენ ერთ დროს კონდოლელი ფირუზ ქუმსიაშვილი და ზედავანელი გრიგოლ სანადირაძე. ახლა კი ღვიძლ ძმებში ვერ გაარჩევთ!

— ფირუზ ქუმსიაშვილს ვერ იცნობ? — ვეკითხები თანამგზავრს.

— აი, დურგალს? — კითხვითვე მიპასუხებს და მიდასტურებს კიდეც ნიშნეული დახასიათებით: საგზაო უწყების მუშაკია, ლაფანუურის, წინანდლის, კარდანახის ხიდები აუგია. წელან მის მიერ აშენებულ ბოგირზე გამოვიარეთ.

მენიშნა ფირუზის პროფესია, — დურგალია!

რატომ მივიჩქარი მასთან? შესაძლოა იმიტომ, რომ მომხიბლა ყოფილი ტყვის შეუპოვრობამ. 23 წელიწადი ეძება მეგობარი. სწერდა სამხედრო კომისარიატებს, ეკითხებოდა სასოფლო საბჭოებს. მოიარა ჰიათურა და ორჯონიკიძე, სამტრედია და ქუთაისი. გაჭირვების დროს შეძენილი ამხანაგის კვალი კი არსად ჩანდა. იქნებ დაილუპა კიდეც, ფიქრობდა ფირუზი და ერთიდან მეორე, მესამედან მეათე, ოცდამეათე სანადირაძისაკენ გადაინაცვლებდა ხოლმე. ბოლოს მიაგნო კიდეც. ვანის ცენტრალურ მოედანზე ნაცნობსახიანი კაცი დაინახა.

— სანადირაძე ბრძანდებით? — შეეძახა მოუთმენლად.

— დიახ, საიდან გახსოვართ?

— როგორ, ვერ მიცანი, გრიშა?

— გრიშა ჩემი ძმაა!

— სად არის, რა დაემართა?

— ქობულეთში ისვენებს...

მყისვე პირი იბრუნა ზღვისპირეთისაკენ. ვერ გასჭრა ხვეწნა-მუდარამ სწვევოდა სახლიკაცის ოჯახს, მთავარია შეხვდეს მეგობარს. მერე რა, რომ ადრესატი შინ არ დახვდა. რამდენიმე საათში ფირუზი ქობულეთშია და გრიგოლ სანადირაძეს ეხვევა... ერთმანეთისათვის მკვდრეთით აღდგნენ ორივენი. ცალცალკე ურთიერთი დაღუპული ეგონათ, ახლა კი ბობოქარ ზღვასავით მღელვარეა მათი სიხარული.

მოიგონეს წარსული. ისინი ერთმანეთს გაჭირვებამ და ბედუკუღმართობამ დააკავშირა. ორივე ანგარიშს აბარებს ურთიერთს განვლილ გზაზე. იბრძოლეს. მუსრეს მტერი. იმ დროს იგი ძლიერი იყო და სხვა დაჭრილებთან ერთად ეს ორი მეომარიც დაატყვევა. საბანაკო ცხოვრების სიდუხჭირე ფირუზს ერთგვარად შეუმსუბუქა რაძინის ბანაკში ნაპოვნმა ხელით დაწერილმა ფურცელმა, რომელშიც ეწერა: „ამხანაგო! ნამდვილი საბჭოთა პატრიოტი აქაც ერთგულად ემსახურება სამშობლოს. გადაეცი ყველას, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენია. ემზადე გაქცევისათვის! შეუერთდი პარტიზანებს ან თვითონ შექმენი პარტიზანული რაზმი“.

— იცოდით, ვინ ავრცელებდა ამ ფურცლებს ტყვეთა ბანაკში? — მივმართე სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან კონდოლელ მასპინძელს.

— მერე შევიტყე, რომ ისინი გრიგოლ სანადირაძის ხელით ყოფილა დაწერილი.

გულმა გული იცნო. ფირუზიც ტყვეთა არალეგარული ორგანიზაციის მონაწილე გახდა. მას საწყობში უხდებოდა „დურგლად“ მუშაობა და ბანაკიდან გაქცევის წინ გრიგოლ სანადირაძე მოამარაგა შაშხანით და ორი ავტომატით. მოხდა ისე, რომ იარაღის გაუჩინარების გამო ფირუზი კარცერში ჩააწყვდიეს, დანარჩენებს კი დაყოვნება აღარ შეეძლოთ. რვა ქართველმა ტყვემ ღამის წყვდიადში გაქცევა მოახერხა. და პოლონელ პარტიზანებს შეუერთდა.

ასე გაიყარა კონდოლელისა და ზედავანელის გზები, თუმცა ორივემ ერთი საქმე აკეთა და ბრძოლით მოიხვეჭა ბედნიერება.

ფირუზი ერთხანს სიკვდილის ბანაკში აწამეს. მერე საფრანგეთში წაიყვანეს სამუშაოდ. გაქცევის წყურვილი იქ უფრო გაძლიერდა. წინააღმდეგობის მოძრაობის ფრანგ მონაწილეებს დაუკავშირდა და ერთ მშვენიერ დღეს მათს რიგებში აღმოჩნდა. ფაშისტების წინააღმდეგ იბრძოლა ინგლისელ მედესანტეებთან ერთად. მონაწილეობა მიიღო მრავალ ოპერაციაში, რომელთა მიზანი იყო ყოველდღიური საფრთხეში ჰყოლოდა მტერი და ამით საბრძოლო გეგმის შესრულება გაეადვილებინათ მოკავშირეებისათვის.

მისი მეგობარი კი ამ დროს ისევ ცეცხლის ალში ტრიალებდა. ეს როდი იცოდნენ გრიგოლ სანადირაძის კერაზე. მისი მამა ნესტორი, დედა ნატო ხშირად იხსენებდნენ უგზოუკვლოდ დაკარგულ ვაჟიშვილს, მის ძველ ფრონტულ ბარათს კითხულობდნენ: „ჩემი დარდი ნუ გეძნებათ. გნახავთ მაშინ, როდესაც ამ ცოფიან ძაღლებს სამშობლოს მიწა-წყლიდან განვდევნით და გამარჯვების დროშას ავაფრიალებთ“. შეიძლება ითქვას, გრიგოლ სანადირაძე ამ სტრიქონებს სისხლით წერდა ფრონტზეც და მტრის ზურგშიც.

მეგობართან ქობულეთში შეყრისას გრიგოლმა გაიხსენა ტყუროვის, ლუკავის, კორშევნის, პარჩევის ტყეები, რომლებიც მისი რაზმის სამოქმედო ასპარეზი იყო.

მეორედ, ამჯერად ოჯახში რომ ვესტუმრე, — გამიზიარა ახალი შეხვედრის შთაბეჭდილება ფირუზ ქუმსიაშვილმა, — სიამოვნებით წავიკითხე მისი ფრონტული დღიური და პარტიზანული თხზულებანი. შავი ძაფით შეკერილ მცირე რვეულში გავეცანი გრიგოლ სანადირაძის ლექსებს: „მე და კარცერი“, „ჩემს სამშობლოს“, „ფიქრი ბარაკში“, „ჩემი მიზანი“... ერთი ლექსი 1943 წლის 7 ნოემბერს ბელოპოლიეში დაწერილა. ეს ის დღეა, როდესაც ფაშისტური ჯარები ტყვეთა ბანაკიდან ასობით ადამიანს ისროდნენ ტყვიებით ორმოებში

ასპინძის ახალი სიცოცხლე

მესხური შთაბეჭდილებები

სამოციოდე წლის წინ ამ მხარეში ერთმა ქართველმა ჟურნალისტმა იმოგზაურა. ის კარგად იცნობდა ამ კუთხის დიდებულ წარსულს და ამიტომ ახლა ნანახმა და გაგონილმა ძალიან დაამწუხრა.

მან ნახა „გაპარტახებული ნასოფლარები, გაჩეხილი ტყეები, გაკაფული ვენახები და ხეხილის ბაღები. წევის კვამლში გახვეული ქართული სოფლები, რომლებსაც თათრული სახელები ერქვათ. მან ნახა ჩაღრმოხურული ქართველი ქალები, დანგრეული და შებღალული ციხე-მონასტრები, თაღებჩამონგრეული ვარძია. თამარ მეფის სენაკში ღამურები დაფარფატებდნენ, ღვთისმშობლის ეკლესიის უმშვენიერეს ფრესკებს თვალები ტყვიით ჰქონდათ დაცხრილული. ძველი მესხეთის მიწაზე მოგზაურს ქართული სიტყვის გაგონება მოუნატრა...

ის ჟურნალისტი გულმხურვალე მამულიშვილიც იყო და წიგნი. რომელშიც მან თავისი მოგზაურობა აღწერა, დიდი ადამიანური ტკივილებით იყო სავსე: „დაკნინდა მშვენიერი და სიცოცხლით სავსე მხარე ძველის ერთიანის საქართველოსი. დღევანდელი მესხეთი ერთი რაღაც შემზარავი. თვალგადაუწვდენელი და უსაზღვრო სასაფლაოა“. ეპიგრაფად თავის წიგნს ალექსანდრე ფრონელმა ერთი ძველი ლათინური ანდაზა წარუმძღვარა, მოკლე და უნუგეშო, როგორც საფლავის ეპიტაფია:

„ასე წარმავალია დიდება ქვეყნისა...“

* * *

ჩვენი მანქანა აწყურს გასცდა. ბორჯომის ტყიანი მთების შემდეგ პირქუში მოგეჩვენება მესხეთის მტკვრის ხეობა. პირქუში, მაგრამ კიდევ უფრო მშვენიერი, ვერაფერი შეედრება მკაცრ სილამაზეს ამ უტყეო, მზით გადატრუსული მთებისა და ზეგნებისა, თვალშეუდგამი ფლატეებისა, რომლებსაც აქა-იქ სისხლისფრად მოჰკიდებია თრიმლი. მოგზაურებს ამ მხარის ნახვას გაზაფხულზე ან ადრიან ზაფხულზე ურჩევენ, როცა მწვანედ ხასხასებს ყველაფერი. მაგრამ ახლა, შემოდგომაზე, ამ გზის სილამაზე სულ სხვაგვარია — მზით გარუჯულ რელიეფს „საღებავად უხდება, ერწყმის და თითქოს ამთავრებს უძველესი ციხე-სიმაგრეები, ბურჯები და ეკლესია-მონასტრები, რომლებიაც ასე უხვად არის მოფენილი ეს მიწა. გზის ყოველი მოსახვევი აქ ახალ სანახაობას გიმზადებს — ხან ძველთაძველი ხიდის ნაშთს, ხან ხეობის სიღრმეში ტერასებად გაშენებულ ბაღებს, ხან კლდეში გამოკვეთილ ცამეტსართულიან უნიკალურ ციხე-ქალაქს, და ყველაფერში შენს ირგვლივ ჩანს ქართველი კაცის ნაკურთხი მარჯვენა, მოუღლელი მარჯვენა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჰქმნიდა მატერიალური და სულიერი კულტურის უბადლო ძეგლებს, აშენებდა და იბრძოდა, ნადგურდებოდა და ცხოვრებას ახლად იწყებდა.

დიდიხანია, ქარტეხილებმა გადაიარეს მესხეთის თავზე. ცად აზიდული მთებით გარშემორტყმული, ოქროსფერ ბაღებში და მოასფალტებულ ფართო ქუჩებში ნებივრად წევს მშვენიერი დაბა ასპინძა. შემოდგომის უშფოთველი დღეა, ცაზე ღრუბლის ფთილაც არ ჩანს და ახლა არ შეიძლება წარმოიდგინო, რომ სისხლით არის გაჟღენთილი ამ მიწის ყოველი მტკაველი, ამ კოხტა, მშვიდობიანი სახლების ნაცვლად დაინახო წევის კვამლში გახვეული მიწურები, ამ კრიალა ცაზე — ნახანძრალი ღრუბლები. მაგრამ ცოტას გაივლი და მემორიალური დაფა შეგაჩერებს: ათას შვიდას სამოცდაათ წელს მეფე ერეკლემ აქ გადაიხადა სისხლისმღვრელი ომი, ასპინძის ციხის ნანგრევებს შეხედავ და თითქოს ვერძებისა და ლოდსატყორცნების ზათქი გესმის... და ასე, განუწყვეტლივ: მოგზაურობა მესხეთის მიწაზე ეს არის მოგზაურობა წარსულსა და აწმყოში, რომელიც ხან სევდით, ხან კი სიხარულით გავსებს.

* * *

ასპინძელებს ეამაყებათ თავისი გმაოული წარსული. ალბათ, ამიტომ დაბის ქუჩებს რუსთაველის, თამარისა და ერეკლეს სახელები ჰქვიათ.

ასპინძის რაიონის ოცდაორივე სოფლის სახელებში ხომ მთელი პოეზიაა: რუსთავი, იდუმალა, დამალა, ოთა, ომორა, ხიზაბავრა, სარო, ხერთვისი, თმოგვი, ჭობარეთი, აწყვიტა, საყუდელო...

ვისაც ეს სოფლები ამ ორი ათეული წლის წინ უნახავს, თვალს არ დაუჯერებს: ხრიოკი მიწისა და ერთმანეთზე მიჯრილი უსუფთაო მიწურების ნაცვლად, ალვის ხეებში და ხეხილში ჩაფლული თეთრთუნუქდახურული სახლები დგას. ახალი სიცოცხლე ჩადგა ტოლოშში და განახლებულ თმოგვში, დამშვენდა და მხრებში გაიშალა დიდი პოეტის მშობლიური რუსთავი.

ორიათას ასი სახლი აშენდა უკანასკნელი ხუთმეტი წლის მანძილზე ასპინძის რაიონში, ასორმოცდაათი წელს დამთავრდება. სკოლა ყველა სოფელში — დიდშიც და პატარაშიც. სულ რაიონში ცხრა საშუალო სკოლაა, რვა — რვაწლიანი, ხუთი — დაწყებითი. გახსნილია ახალი საშუალო სკოლა ხიზაბავრასაც შეემატება.

სოფლები ახალმა კლუბებმა დაამშვენა. ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესანიშნავი კლუბები მიიღეს იდუმალელებმა, რუსთაველებმა, ხერთვისელებმა და თმოგველებმა. ახლა კიდევ ორგორაში, საყუდაბელში, ხიზაბავრასა და ოშორაში შენდება სასოფლო კლუბები.

შეუჩერებელი მშენებლობაა რაიონულ ცენტრშიც. ასპინძა დღითიდღე უფრო კეთილმოწყობილი ხდება. დიდი ხანი არ არის, რაც აქ ორსართულიანი. თანამედროვე არქიტექტურის უნივერსალური მაღაზია აიგო. წელს დაბაში ასადგილიანი საბავშვო ბაგა-ბაღისა და ახალი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მშენებლობა მთავრდება.

რაიონში ბევრი ახალი გაკეთდა და ყველაფერს — რუსთაველის რვაასი წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენაა ეს თუ პარკის უცხოდ მოყირწყლული კიბეები — ატყვია მზრუნველი და სათუთი ხელი.

...რუსთაველის რვაასი წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა იშვიათი გემოვნებით არის მოწყობილი და ძალიან ორიგინალურია. მთავარი ადგილი ამ გამოფენაზე ფოტოსტენდებს უჭირავს, რომლებზეც შუასაუკუნეების ქართული ხელოვნების დიდებული ფოტოსურათებია ექსპონირებული. სურათები იმდენია, რომ სტენდები ფარავს ყველა კედელს: სვეტიცხოველი და საფარა, გელათი და ბეთანია. ოქი და ხახული, ხარზმა და გრემი... ცალკე დღეებში, ჩვენ რომ ასპინძის რაიონში გავატარეთ, თამარს ხან რუსთავში გადავეყარეთ, ხან რაიონულ ბიბლიოთეკაში, ხან საგამოფენო დარბაზში.

ერთგან მას რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ეკატერინე მელქიძე ახლდა. ეკატერინეს ბევრი თაობა აღზრდია ჯერ ტოლოშში, მერე ასპინძაში. მასთან საუბარი ძალიან სასიამოვნოა — განათლებული ქალია და მშვენივრად იცის ძველი მესხეთის წარსული. თურმე, მთავარდიაკონი ანდრია ჯვარიძე, ალექსანდრე ფრონელს რომ ჰყავს თავის წიგნში მოხსენიებული, ეკატერინეს პაპა იყო დედის მხრიდან. ეკატერინეს დედას სკოლაში არასოდეს ესწავლა, მაგრამ თითქმის ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“. ზამთრის გრძელ საღამოებში, თავისი რვა შვილით გარშემორტყმული, ის იჯდა და ლოცვასავით იმეორებდა რუსთაველის ამაღლებულ შაირს.

პოეზიის სიყვარულიც ეკატერინეს დედისგან დაჰყვა და შემდეგ თვითონ ესტაფეტასავით გადასცემს თავის აღზრდილებს. წლევანდელ გამოსაშვებ კლასს ის მეხუთე კლასიდან მოჰყვება. ქართულის მასწავლებელს უხარია ამ კლასში შესვლა — შესანიშნავი მოწაფეები ჰყავს, ერთმეორეზე უკეთესები. „ახლა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას გავდივართ, — მიამბობს ის, — წარმოგიდგენიათ, „ბახტრიონი“ ბავშვებმა ლამის სულ ისწავლეს ზეპირად! „მთანი მაღალნი“ ლექსივით იცოდნენ. ვუსმენდი და ცოტა დამაკლდა, კინაღამ სათითაოდ მოვეხვიე და დავკოცნე“, — და თვალზე მომდგარ ცრემლს თითით შეუმჩნეველად იცილებს.

ხშირად კვირაობით, მას შემოქმედებით ექსკურსიებზე დაჰყავს მოსწავლეები ვარძიაში, საფარაში, ვანის ქვაბებში. ამით მშობლიური კვეყნის წარსულის სიყვარულს უნერგავს, რადგან დარწმუნებულია, რომ ამის გარეშე არ შეიძლება შენი კვეყნის აწმყო გიყვარდეს.

ამ დიდებული მხარის აწმყო კი საისხარულოა. რაიონი წლითიწლობით იზრდება და მშვენდება. აგერ, თერმიული ცხელი წყლების კურორტ ასპინძას ყოველ წელს ახალი შენობა ემატება. ვარძიის განთქმული მინერალური წყლის ბაზაზე წყლის ჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობა უნდა დაიწყოს. მომავალში აქ, ალბათ, კუჭ-ნაწლავის სამკურნალო დიდი კურორტი გაშენდება.

გაისად უნდა დამთავრდეს ვარძიის ორასოთხმოცადგილიანი ტურისტული ბაზის მშენებლობა.

ასპინძის რაიონულ ხელმძღვანელობას, სხვა საინტერესო გეგმებთან ერთად, ერთი მშვენიერი გეგმა აქვს: მას სურს საჰაერო ბაგირგზით შეაერთოს ამ მხარის სამი ღირშესანიშნაობა: თმოგვის მიუდგომელი ციხე, ვარძია და ვანის ქვაბები. წარსულის ეს სამი დიდებული ძეგლი ერთიმეორისაგან შორს არ არის, მაგრამ ყველა მათგანის ერთ დღეში მონახულება ძალიან ძნელია. შაბათ-კვირას კი ამ მხარეს უამრავი მნახველი ჰყავს — შოსეზე გაბმულად მოგრიალებენ ექსკურსანტებით დატვირთული დიდი ავტობუსები და მსუბუქი მანქანები...

* * *

... თქვენ შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ საქართველო არ გინახავთ, თუ ასპინძის მიწა-წყალზე არ დაგიდგამთ ფეხი; თუ გულზე ელდასავით არ დაგცეთ მიათ გოროზი თმოგვის სანახები და მუხლები არ დაგლეთ ვარძიის დაუსრულებელ ტალანებში ხეტიალით.

წელს, ერთი თვის მანძილზე, ჩვენ ამ მხარეში მეორეჯერ ვართ და ისეთი გრძნობა მიჩნდება, თითქოს ოდესღაც აქ მეც მიცხოვრია.

მე მიცხოვრია ამ მიწისქვეშა ქართულ დარბაზში და ერდოდან ჩამოსულ შუქზე საჩოხე მატყლს ვართავდი.

ჩემი თვალით დამინახავს, როგორ იდგა საათობით ვარძიის ღვთისმშობლის ხატის წინ მეფეთა-მეფე თამარი და თვალცრემლიანი ავედრებდა დავით სოსლანს და ქართველ სპათა.

მე თვითონ ვიბრძოდი საკაძის მხარდამხარ ხერთვისის მისადგომებთან და ამ შეუვალი ციხის გოდოლზე მე აღვმართე საქართველოს ჩალისფერი დროშა.

ქარსა და ხვატში, ოფლში გახვითქულს, ამომყავდა წუნდის ულამაზესი ეკლესიის კედლები.

ძალად შემონაზვნებული გულქანი ვიყავი და ვანის ქვების ცივ კედლებს ვაწერდი ჩემს ყმაწვილქალურ სევდას.

ნანული ბარათაშვილი.

მოძმე ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილების თანამშრომლები ამუშავებენ თემებს მომძმე ხალხებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მეგობრობის და ლიტერატურათა ურთიერთობის შესახებ. განყოფილებაში თანამშრომლობენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა მეცნიერები, საზღვარგარეთელი ლიტერატორები, მაგალითად, შრომების კრებულ „ლიტერატურული ურთიერთობანის“ მეორე ტომში, რომელსაც განყოფილება უშვებს, დაბეჭდილი იქნება უნგრელი მეცნიერის დიერდ დრადოს გამოკვლევა „შოთა რუსთაველის უნგრულ ენაზე“, ინდოელი მწერლის ჩატარჯის „შოთა რუსთაველის პოემა“, პროფესორ ი. ნეუპოკოევას „ბარათაშვილი და დასავლეთ ევროპის ლიტერატურა“, სტატიები უკრაინიდან და სხვა რესპუბლიკებიდან.

ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობას რუსეთისა და საქართველოს ლიტერატორების მეგობრობის დამყარებაში, ჩვენი ხალხების კულტურულ ურთიერთობაში ეძღვნება განყოფილების მიერ გამოცემული მრავალი შრომა. ქართველ საზოგადოებრიობასთან გორკის ურთიერთობაზე მოგვითხრობს გ. ციციშვილის წიგნი. საინტერესო გამოკვლევები დაწერეს ი. ბოგომოლოვმა — ავტორმა წიგნებისა „პოლონსკი საქართველოში“, „ალექსანდრე ჭავჭავაძე და რუსული კულტურა“, გრიგოლ ორბელიანი და რუსული კულტურა“, ვ. ბააკაშვილი „ბელინსკი და ჰომეროსის საკითხი“, ბ. არეჭავაძემ „ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“ — ავეტიკ ისააკიანი და „ქართული ლიტერატურა“ და სხვ.

მაგრამ მარტო ამ საკითხებით როდი ამოიწურება განყოფილების საქმიანობა. აქ ასპირანტურის კურსები გაიარეს ამიერკავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლებმა. თავიანთი შრომები მოამზადეს ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილების თანამშრომელთა მჭიდრო თანამეგობრობით უკრაინელებმა და რუსებმა, უახლოეს დღეებში ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციებს დაიცავენ დოცენტი ი. ლუცენკო დნეპროპეტროვსკიდან, ადიღეს პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელი ლ. პანეში, ადიღეს პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენის კათედრის გამგე ე. შიბინსკაია.

მსოფლიოს 25 ქვეყანაში

თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტულმა ქარხანამ გამოუშვა პირველი საცდელი პარტია — 10 ათასი ფლაკონი ახალი პრეპარატი ტრიამცინოლონი, რომლითაც მკურნალობენ რევმატიზმს, ბრონქიალურ ასთმას, ინფექციურ არასპეციფიკურ პოლიართრიტსა და სხვა დაავადებებს.

50-ზე მეტი დასახელების სხვადასხვა პრეპარატს გზავნის ქარხანა მსოფლიოს 25 ქვეყანაში. ეს არის ალოეს ექსტრაქტი ამპულებში, სტრიქნინი, ქინაქინა, დარიშხანი, დუპლექსი, დიგალენ-ნეო, ტანინი და სხვ.

მიმდინარე წელს განზრახულია აშენდეს საწარმოს მეორე რიგი, რაც გაზრდის ამპულებისა და ტაბლეტების დასაფასოებელი წარმოების სიმძლავრეს.









ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლისათვის

წარმოდგენილია საკონკურსოდ

შარშან, სექტემბერში ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა დიდი რომანტიკოსი პოეტის **ნიკოლოზ ბარათაშვილის** დაბადების 150 წლისთავი. იმ საიუბილეო დღეებში თბილისში, პოეტის სახელობის ხიდის მიდამოებში საფუძველი ჩაეყარა ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლს. აქ მომავალში აღმართება დიდი მგოსნის ძეგლი. საიუბილეო ზეიმის წინადღეებშივე გამოცხადდა კონკურსი პოეტის საუკეთესო ქანდაკების შესაქმნელად. იანვრის ბოლოს ბარათაშვილის ხიდის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა საკონკურსო ნამუშევრების გამოფენა-დათვალიერება. ვბეჭდავთ კონკურსზე წარმოდგენილ ოთხ ნამუშევარს. მომავალში გაირკვევა, თუ რომელ მათგანს მოიწონებს ჟიური.

ძვირფასო თანამემამულეებო! გთხოვთ მოგვწეროთ — **თქვენ რომელ ნამუშევარს მიიჩნევდით სა-უკეთეოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლისათვის**. ველით თქვენს წერილებს!

იოსებ მეგრელიძე

დიდი მეცნიერი, მამულიშვილი

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საზღვარგარეთ კიდევ არა ერთ ქართულ მნიშვნელოვან საისტორიო ნივთსა და ხელნაწერს შეიძლება წავაწყდეთ. საჭიროა მათი შეძენა და, მსგავსად ნეტარხსენებულ ე. თაყაიშვილის სამაგალითო მოქმედებისა, ახალმოპოვებული ნივთების სამშობლოში დაბრუნება. როდესაც მათი შეძენა არ მოხერხდება, მაშინ ნახული ნივთების აღწერის გამოქვეყნებაც მნიშვნელოვანი საქმეა.

და ეს საჭიროა არა მხოლოდ ნივთიერი განძეულობის, არამედ სულიერი კულტურის ძეგლების მიმართაც. მაგალითად, ვისაც ეს შეუძლია, ძალიან სასარგებლო საქმეს გააკეთებს, თუ თურქეთში, ფრეიდანში, პარიზშიც კი და სხვაგანაც ქართველებისაგან ჩაიწერეს ზუსტად ისე, როგორც მთქმელი იტყვის, ზეპირსიტყვიერებისა და მეტყველების ნიმუშებს, თუნდაც მოგონებებს. შეიძლება, ზოგიერთი ჩანაწერი ლინგვისტურად მთლად ზუსტი ვერ აღმოჩნდეს, მაგრამ ფოლკლორულად მაინც მნიშვნელოვანი იქნება. ეს მით უფრო უნდა შევნიშნოთ, რომ საზღვარგარეთ ქართველოლოგებიც არიან (მაგ., იტალიაში — შალვა ბერიძე, ამერიკაში — დავით ჯაფარიძე, პარიზში — გიორგი შარაშიძე, ინგლისში — ანდრია გუგუშვილი, ნორვეგიაში — ჰანს ფოგტი, გერმანიაში — კარლ-ჰორსტ შმიდტი და სხვები). ასეთი ჩანაწერები ძალიან საჭიროა, რადგან თურქეთსა და სპარსეთში (ფერეიდანი) მცხოვრები ქართველების მეტყველების ნიმუშებისა და ფოლკლორული მასალების ძალიან მცირე რაოდენობით გაგვაჩნია.

* * *

რამდენიმე სიტყვა ექვთიმე თაყაიშვილის იმ დამსახურებაზეც უნდა ითქვას, რომელიც მას ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების დიდ საქმეში მიუძღვის.

თბილისში უნივერსიტეტის შექმნაზე გასული საუკუნის 30-იანი წლებიდანაც იყო ლაპარაკი, მაგრამ რუსეთის ცარიზმის კოლონიალურ პირობებში ეს არ ხორციელდებოდა.

რევოლუციის აღმავლობის წლებში ნიკო მარმა ქართველთა სამეცნიერო აკადემიის დაფუძნება სცადა (სათანადო პროექტი 1905 წლისა ჩვენ გამოვაქვეყნეთ. იხ. კრებული „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, თბ., 1943 წ., გვ. 328-333). არც ეს განხორციელდა.

მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების შექმნის მონაწილე (1901 წ.; 1905 წლიდან იგივე იყო მისი მდივანი) და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1907 წელს დამაარსებელი (მას იგივე თავმჯდომარეობდა 1921 წლამდე). ქ[illegible]შიმე თაყაიშვილი ორგანიზატორობდა თბილისის სახალხო უნივერსიტეტსა მიხ. თამარაშვილსა და გ. თუმანიშვილთან ერთად (190[illegible] წ.).

მასში პირველი ლექცია ქართული წელთაღრიცხვის თაობაზე ე. თაყაიშვილმა წაიკითხა. აქვე 1907-1910 წლებში ლექციები რუსულ ენაზე ტარდებოდა კავკასიის ხალხების ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე. ე. თაყაიშვილი იმავე წლებში აქვე კითხულობდა კურსებს ისტორიასა და არქეოლოგიაში.

სახალხო უნივერსიტეტის მაღალ დონეზე მუშაობამ ვერ აძლიერა აზრი ნამდვილი უნივერსიტეტის დაარსებისა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ 1916 წლიდან ივ. ჯავახიშვილის „პეტერბურგში დარჩენის საკითხი თითქმის მოიხსნა“ (ე. თაყაიშვილი, ციტ. I ტ., 1968 წ. გვ. 415). აქ საზოგადოებრივ ინტერესებს მეცნიერის პირადი მდგომარეობაც დაემთხვა.

„ამის გამო, განაგრძობს ე. თაყაიშვილი, მივმართე ივანეს ვრცელი წერილით და შევთავაზე გადმოსულიყო თბილისში, მიეღო საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეობა“, ამის ხაზით ეკითხა ლექციები საქართველოს კულტურის ყველა დარგიდან. თანაც ვატყობინებდით, — წერს ექვთიმე, — რომ მე საზღვარგარეთ ვიპირებდი დროებით წასვლას და თავმჯდომარეს საზოგადოება შეინახავდა მატერიალურადაც“ (იქვე აღნიშნული წერილი დაცულია; 0. მ.).

როგორც ისევ ე. თაყაიშვილი გვაუწყებს, ივ. ჯავახიშვილი „შეუდგა სამზადისს თბილისში გადმოსახლებისათვის“ (იქვე). ეს განზრახვა კიდევ უფრო გააძლიერა იმან, რომ პირველი მსოფლიო ომის პირობებში ცარიზმი შესუსტდა და გამოსცა კანონი, რომლითაც უკვე შეიძლებოდა რუსეთის იმპერიაში კერძო უმაღლესი სასწავლებლის დაარსება არარუსულ ენაზეც.

1917 წელს, თვითმპყრობელობის დამხობის გამო, ქართული უნივერსიტეტის გახსნის პირობები გაუმჯობესდა, აღიძრა საკითხი და მიუხედავად იმისა, რომ ნ. მარი წინააღმდეგი იყო კერძო უნივერსიტეტის, მან მაინც დაჟინებით დასჭვნა მისცა დროებით მთავრობას თბილისის ქართული კერძო უნივერსიტეტის დაარსების თაობაზე, რის შესახებაც დაბეჭდა კიდეც აკაკი შანიძემ.

1918 წლის 13 იანვარს შედგა უნივერსიტეტის პირველი სხდომა; 1918 წლის 26 იანვარს (ძვ. სტ.) ზეიმით გაიხსნა იგი, ხოლო 1918 წლის 3 სექტემბერს „თბილისის ქართული კერძო უნივერსიტეტი გადაკეთებულ იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტად“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან სრულიად ნათელია, რომ ივ. ჯავახიშვილის შემდეგ უაქტიურესი მონაწილე ჩვენი უნივერსიტეტის შექმნისა არის ექვთ. თაყაიშვილი, იგი იყო ამ უნივერსიტეტის დაარსების საორგანიზაციო კომიტეტის პირველი კრების თავმჯდომარე თბილისში, რომელიც მისსავე ბინაზე ჩატარდა. უფრო ადრე კი ე. თაყაიშვილი იმ შენობის აგების ინიციატორთაგანია, რომელშიც შემდეგ ჩვენი კულტურისა და განათლების ეს უძლიერესი ცენტრი მოთავსდა.

ამის გარდა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ექვთ. თაყაიშვილი იყო ნ. მარის მიერ 1917 წელს თბილისში დაარსებული რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის, ე. ი. მარის მოადგილე და მალე რუსეთთან კავშირის გაწყვეტის გამო, საზღვარგარეთ წასვლამდე (1921), ე. თაყაიშვილს უხდებოდა უმთავრესად ამ სამეცნიერო ორგანიზაციის გაძღოლა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ აკადემიური ინსტიტუტის ბაზაზე 1932 წელს აღმოცენდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალი. ამის ბაზაზე კი შემდეგ ჩამოყალიბდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიისავე საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ფილიალები, ხოლო თვითეული მათგანი უნივერსიტეტის ძალებითაც სათანადო რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებად იქცა.

* * *

ყოველივე ზემოთქმულს რამდენიმე შენიშვნა და ცნობა-მოგონებაც გვინდა დავუმატოთ.

ექვთიმე თაყაიშვილის „რჩეული ნაშრომების“ ზემოხსენებული პირველი ტომის მეორე ნაწილი შეიცავს ზოგიერთ დოკუმენტსა და ავტორის დაწერილსა და მის დამსმარე პირთაგან ჩაწერილ იმავე მოღვაწის მოგონებებს (გვ. 175-418).

მოგონებებში ძვირფასი ავტობიოგრაფიული მემუარული და სხვა რიგის ცნობებია შესული.

დამატებით უნდა ითქვას, რომ ე. თაყაიშვილი პარიზშიც დიდ ინტერესს იჩენდა არა მარტო თბილისში, არამედ მოსკოვ-ლენინგრადში გამოცემული მეცნიერული ლიტერატურისადმი. მის სიყრმის უახლოეს მეგობარ ნ. მარს 1926-1928 წლებში, ლენინგრად-მოსკოვის გარდა, პარიზშიც ჰქონდა ლექციები. ნ. მარი და ე. თაყაიშვილი აქაც ხვდებოდნენ ერთმანეთს, მარს მისთვის ახალი წიგნები ჩაჰქონდა და ზოგჯერ ლენინგრადიდანაც უგზავნიდა.

თავის მხრივ ექვთიმეც უაღრესად ყურადღებიანი იყო მარისადმი. მაგალითად, ზემოხსენებულ წლებში მარის მიერ პარიზის აღმოსავლურ ცოცხალ ენათა სკოლაში წაკითხული ქართული ენის კურსი რომ იმავე კურსმოსმენილ მ. ბრიერის თანაავტორობით იბეჭდებოდა, ნ. მარმა საავტორო კორექტურები არა ბრიერს, არამედ ე. თაყაიშვილს მიანდო. მართალია, ნ. მარსაც ეგზავნებოდა კორექტურები, მაგრამ 1930 წელს რომ ეს გაგზავნ-გამოგზავნა გართულდა, მარის იმედად თაყაიშვილი დარჩა. წიგნს ნამდვილი ავტორის წინასიტყვაობა უნდა დამატებოდა. გადიოდა დრო, მარისაგან ამას არ თხოულობდნენ.

ბოლოს გამოვიდა მეცნიერულად უბადლო და ტექნიკურადაც ბრწყინვალედ გამოცემული ქართული ენის 860-გვერდიანი გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით (ფრანგულ ენაზე, პარიზში, 1931 წ.).

ე. თაყაიშვილმა გამოუგზავნა ნ. მარს ამ წიგნის 8 ცალი და სწერდა, უნდა მომიტეო, ძმაო, რომ ეს წიგნი არა შენი, არამედ მ. ბრიერის წინასიტყვაობით გამოვიდა, მაგრამ ეს მან უჩემოდ მოახერხაო. თურმე იგი ცდილობდაო, შენ ეს გამოცემა გვიან გენახა, წიგნი გავრცელებულიყო, რომ წინასიტყვაობა არ შეცვლილიყოო.

ნ. მარის გარდაცვალების შემდეგ წინამდებარე სტრიქონების ავტორს სწერდა ე. თაყაიშვილი, თუ მას მოსკოვ-ლენინგრადში გამოცემული რომელი წიგნები აინტერესებდა, ხოლო საქართველოში დაბეჭდილებზე სთხოვდა: თბილისში აცნობეთ ჩემს შეგირდს ირიდიონ სონღულაშვილს, ჩვენი მუზეუმისა და უნივერსიტეტის მოამბეები და ქართველოლოგ ისტორიკოსთა და ფილოლოგთა ნაშრომები მოგაწოდოთ და ისინი თქვენ გადმომიგზავნეთო.

როგორც ნ. მარის სიცოცხლეშივე მისივე დავალებით, ისე შემდეგაც, ჩვენ წიგნები მისამართის დართვით მივქონდა ლენინგრადის მეცნიერთა სახლში არსებულ საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის განყოფილებაში და მათ ის უგზავნიდა ადრესატს. როგორც გვიან გამოირკვა, ადრესატი ღებულობდა ყველაფერს, გარდა უგარეგანო ანაბეჭდებისა.

ე. თაყაიშვილმა გამოგვიგზავნა თავისი ახალი წიგნები: „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“ (პარიზი, 1937), „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგალში 1907 წელს“ (პარიზი, 1938) და სხვ. პირველი ორი რომ 1938 წლის ზაფხულ-შივე თბილისში ჩამოვიტანეთ, ი. სონღულაშვილმა გვითხოვა: ამ წიგნებს უკან ნუ წაიღებთ, ბატონ ივანეს (ჯავახიშვილს) ვათხოვოთ, მე დავიბრუნებ და შეგინახავთო. ასეც მოვიქეცით და იმავე წიგნებით სხვა პირთაც ესარგებლათ. ერთი თვის შემდეგ რომ უკან ვბრუნდებოდი, ბატონი ივანე ვინახულეთ. მან წიგნთა წაკითხვის საშუალების მიცემისათვის მადლობა გვითხრა და გვთხოვა მათი გამოსვლა ავტორისათვის მიგვეღოცა.

1939 წლის შემოდგომაზე ლენინგრადიდან თბილისში გადმოვედი. ნ. მარის ქვრივს — ალექსანდრა მარს ე. თაყაიშვილის ბარათი მოუვიდა: ჩემი ბიბლიოთეკა რომ ჩვენმა ახალგაზრდა მეგობარმა გაამდიდრა და უკვე თბილისში გადასულა, გთხოვთ მისწეროთ, რომ არც აწი ამაღის ხელი, თორემ არა მარტო მე, არამედ აქ ჩემთან დაახლოებულნიც დაზარალდებიანო...

როგორც ეს ცნობილიც არის, ე. ს. თაყაიშვილი პარიზიდან თბილისში 1945 წლის 11 აპრილს დაბრუნდა. მეორე კვირის თავზე თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა უკანა რიცხვით დაწერა: ბრძანება № 708 (25 აპრილი, 1945 წელი). „მოწვეულ იქნას ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის პროფესორად ექვთიმე სიმონის-ძე თაყაიშვილი ა. წ. 15 აპრილიდან თვეში 2.000 მან. ხელფასით“.

მას მეცნიერების დამსახურებული წოდებაც მიენიჭა. იმავე 1945 წლის 25 დეკემბერს კი მან ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისაგან მიიღო ცნობა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევის შესახებ...

ყოველივე ამან მხცოვანი მეცნიერი გაამხნევა, მორალურად დააკმაყოფილა და მატერიალურადაც უზრუნველყო.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ე. თაყაიშვილმა 7 წლის განმავლობაში (1945-1952) 18 ნაშრომი დაბეჭდა და რამდენიმე გამოუქვეყნებელიც დარჩა.

ე. თაყაიშვილი მაინც წუხდა: ბევრი მრჩება კიდევ გასაკეთებელი, ძალა აღარ მყოფნის, თუ არ წამეშველეთ, ვეღარაფერს გავაკეთებო (წერა უჭირდა, თორემ მეხსიერება საოცრად კარგი ჰქონდა).

აგრეც იტყოდა: რაც სკოლებში და მის გარეთ გავაკეთე, განსაკუთრებით რაც დრო და სიძველეების შეკრებისათვის მოგზაურობებს, იმავე სიძველეების შესწავლასა და მათზე წერას მოვახმარე, ჩემს ძალებს აღემატებოდაო. ზოგჯერ დასძენდა: „მგონი, ერთი კაცისაგან კმარა, რაც გამიკეთებია, მაგრამ ყველაფერს ამას მე თვითონ წაშლილად, აღარაფრად ჩავთვლიდი, ქართული ისტორიული ნივთები სამშობლოში რომ არ დაბრუნებულიყოო.

ჩვენი მოღვაწე შენიშნავდა: „ამავე მოვალეობის გრძნობამ შემინახა მე პარიზში, მეშინოდა სიკვდილისა, თავს ვეფრთხილდებოდი, ამ ვალის მოხდამდე თვალი არ დამეხუჭა და რაკი ეს ოცნება ამისრულდა, ამის შემდეგ რაც მომივა, აღარაფერს ვინანებ“.

წინამდებარე სტრიქონების ავტორი ექვთიმეს პარიზიდან დაბრუნების დროს თბილისში არ იყო. ესეც დაბრუნდა და 27. VIII 1947 წლიდან ექვთიმეს გარდაცვალებამდე ის მასთან დადიოდა და ცდილობდა, რითაც კი შეეძლო, ამაგდარი მეცნიერისათვის ხელი შეეწყო.

---

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 1, 2, 1969 წ.



ილია წიკლაური

ხსენებული პირველი შეხვედრისას, ერთიმეორის ამბების გაგების შემდეგ, ექვთიმემ მითხრა: რაც თქვენ მამა-შვილ მარებს გაუკეთეთ, ყველანი და განსაკუთრებით მეც გიმადლით. მეც ვბედავ გთხოვოთ დამეხმაროთ. იროდი (სონღულაშვილი) მშველის, მაგრამ წერა მასაც უჭირს, მოხუცდა...

მესამე მისვლისას მასპინძელმა თავისი შოფერი გაგზავნა, 100 საქაღალდე მოატანინა და გვთხოვა არქივის გარჩევაში მივშველებოდით. ჯერ ის და მე შევუდექით საქმეს, მერე ი. სონღულაშვილიც გვშველოდა. მე ჯერ კიდევ არ ვმსახურობდი, დრო მეტი მქონდა და არქივი წესრიგში მოვიყვანეთ.

ჩვენვე მხცოვან მეცნიერს ახალი ლიტერატურის გაცნობასა და მიმდინარე საქმეებშიც ვშველოდით. 1948 წ. საკითხები ჩამოგვაწერინა და თურქეთის მიერ მიტაცებულ საქართველოს ისტორიულ ნაწილზე მოხსენებით გამოვიდა. შემდეგ კი „ტაო-კლარჯეთის გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ისტორიული მიმოხილვის“ გაფორმებასა და მთელ რიგ სხვა სამუშაოებშიც დაგვიხმარა. აღნიშნულ თემაზე ავტორი საჯარო ლექციებით გამოვიდა 1949 წელს უმაღლესი სასამართლოს დარბაზში, დამცველთა კოლეგიაში, კონსერვატორიასა და „სტელას“ ბაღშიც. ზეპირად სათქმელს თვითონ ექვთიმე ლაპარაკობდა, წასაკითხავ ნაწილს მე ვკითხულობდი, რუკაზეც მე მივუთითებდი პუნქტებს და შეკითხვებზე ისევ თვითონ იძლეოდა პასუხს. ამ ლექციებს უამრავი მსმენელი ესწრებოდა. ზოგს ლექცია იმდენად არც კი აინტერესებდა, რამდენადაც თვით ამაგდარი ადამიანის ხილვა სურდა.

მოხუცი მეცნიერი გვთხოვდა მასთან ხელფასით გვემუშავა. ამაზე უარს ვეუბნებოდით და ვურჩევდით: თქვენთვის სჯობს ხელფასით სხვა აიყვანოთ, ჩვენ ხომ ისედაც დაგეხმარებით-მეთქი...

21. IX. 1947 წ. რომ მივედით, ექვთიმე გასასეირნებლად დამხვდა მზად, ფუნიკულორზე მინდა ასვლაო, მითხრა. მანქანით წავედით. ექვთიმეს წინათაც უთქვამს ჩვენთვის ცოლის შერთვის ამბები, მაგრამ ახლა კიდევ უფრო დაწვრილებით გვიამბო. სხვათა შორის აღნიშნა: პეტერბურგიდან თბილისში რომ დავბრუნდი, წელიწადნახევარი იაკობ გოგებაშვილის ბინაზე ვცხოვრობდი. შემდეგ ილია ჭავჭავაძეს დავუახლოვდი. მისი მეგობარი იყო თბილისში დაბადებული და გაზრდილი ივანე ეგნატეს-ძე პოლტარაცკი (1836-1892). ამისი ვაჟი (პირველი მეუღლისაგან — ილია პოლტარაცკი. შემდეგ პარიზში ცხოვრობდა და იქვე გარდაიცვალა 1944 წელს) ილიას მონათლული გახლდათ. პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ივანემ ნადეჟდა (ნადო) ზაქარიას ასული გაბაშვილი შეირთო. მზითევში მთაწმინდის დიდი ფართობიც მიიღო. ამ ქალისაგან ივანეს ხუთი ქალი და ერთი ვაჟი შეეძინა. უფროსი შემდეგში ჩემი მეუღლე ნინო (1869. IX. 23-1931 წ.) იყო. ილია ჭავჭავაძემ თქვაო: ნინო ექვთიმეს უნდა შევრთოთ, თორემ იგი რომ სხვა ეროვნების კაცზე გათხოვდეს, მისი სამზითვო მიწის ნაკვეთი გვეკარგება მთაწმინდაზეო...

ექვთიმეს იუმორი ახასიათებდა ლაპარაკში და დასძინა: აღნიშნული განზრახვა რომ ივანე პოლტარაცკის გაუგია, უთქვამს: ის თაყაიშვილი ჩემს ოჯახში არა ვნახო, თორემ ცალი ფეხი ხომ მოტეხილი აქვს, მეორესაც მოვტეხო. ილია ჭავჭავაძემ მაინც თავისი გაიტანა მით, რომ მეგობარს უთხრა: თქვენს ასულს თაყაიშვილთან ჯვარს ოლღა (ილიას შეუღლე, ი. მ.) შეუცვლისო...

ი. პოლტარაცკიმ ილიას უარი ვეღარ უთხრა, ეს ქორწინება მოხდა და მზითევში ოქროყანაში (მთაწმინდის ფერდობი) 110 დესეტინა მიწა და ორსართულიანი (10 ოთახი) სახლიც მომცეს. (ი. პოლტარაცკის დარჩა იქვე მიწები და მეორე სახლი, რომლის ეზოშიც ის დაიკრძალა).

ექვთიმემ ისიც თქვა, რომ ოქროყანა ჩემი საყვარელი ადგილი იყოო. თბილისში მათე სხირტლაძის სახლში ვცხოვრობდი, 7 ოთახი მეჭირა, მაგრამ ქალაქში რომ დაცხებოდა, ეტლი მყავდა და მე და ზოგჯერ სტუმრებითაც ოქროყანაში მივდიოდი. აქ აკაკი წერეთელიც არაერთხელ მყოლიაო.

ექვთიმემ ფუნიკულორის რესტორნის აივნიდან გადახედა მთაწმინდას და თქვა: ფუნიკულორის ეს არემარე წინათ მეტად უპატრონო და მოუვლელი გახლდათ, ძალიან გამშვენიერებულაო...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ქართველი კაცი ყოველთვის თავის მშობლიურ მიწა-წყალთან იყო შესისხლხორციებული და მის დასაცავად მრავალი საუკუნის განმავლობაში იბრძოდა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. სიცოცხლის ფასად უჯდებოდა ქართველ ვაჟკაცს სამშობლო მიწის ყოველი მტკაველი. გადავხედოთ ჩვენს უტყვ მოწმეებს, მთასა თუ ბარად მრავალრიცხოვან ტაძრებს, ციხე-კოშკებს, რომელნიც დგანან ამაყად, პირნათლად, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილნი.

ვამაყობ, რომ ერთი ასეთი ციხე ჩემს სოფელშიც არის, მას ღვთისმშობლის ციხეს ეძახიან. ამ ციხის შესახებ არსებობს ლეგენდა. ლეგენდაში მოთხრობილია მამაც მთიელ ხალხზე, ვაჟკაცურად რომ იბრძოდნენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ფასანაურში, იქ, სადაც შავი არაგვი თეთრ არაგვს უერთდება, იწყება გუდამაყრის ხეობა. გუდამაყარი ვიწრო ხეობაა, მაგრამ ისე მრავალფეროვანია მისი ბუნება, რომ ყოველი კილომეტრის გავლა თავისებური სიახლით გხიბლავს. ხეობაში არ არის ისეთი ადგილი, რომელსაც თავისი სახელი არ ერქვას. ყოველი სახელი კი, რაღაც მოვლენასთან არის დაკავშირებული და თავისი ისტორია აქვს.

მიჰყვები ხეობას და შუა გზაზე სოფელი მაქართა შეგოგზდებათ. სწორედ ამ სოფელში, მთის ერთ ფერდობზე, დგას ღვთისმშობლის ციხე. ციხე აშენებულია უზარმაზარი ლოდებისაგან. ვფიქრობ, თითოეული მათგანი ორ ტონაზე მეტსაც უნდა იწონიდეს. უნებურად მოგაგონდებათ ჩვენი საამაყო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სიტყვები: „რა ხელმა ააგო, რა ძალამ აზიდა“.

ჩემმა თანასოფლელმა მოხუცმა ერთი მეტად საინტერესო ლეგენდა მიამბო ამ ციხის შესახებ: აურაცხელი მტერი შემოსევია თურმე ჩვენს მიწა-წყალს, ბარის მიდამოები სულ მიწასთან გაუსწორებია და მერე მთის ხეობებისათვის შეუტევია... ამ გაჭირვებაში ყოფილან, როცა ერთი მთიელი ქალი გამოჩენილა. მან თავი მოუყარა თურმე სოფლის ხალხს, თავისი სამი ვაჟკაცი გვერდით ამოიყენა და ბრძანება გასცა — ვიდრე მტერი მთას შეესეოდა, აეშენებინათ დიდი ციხე-სიმაგრე. ციხეს სახელად ღვთისმშობლის ციხე უნდა დარქმეოდა.

დატრიალდა ხალხი, ახმაურდა, ჯანღონე არ დაიშურა. სულმოუთქმელად მუშაობდა ყველა. სწრაფად ჩაუყარეს ქართველმა ბიჭებმა ციხეს საძირკველი. თავდადებულად მუშაობდა გმირი მთიელი ქალის სამი ვაჟი. ამ სამ თვალტაკად ძმას ისეთი ვეება ლოდები აჰქონდათ კიბეებზე და კიდლებზე ალაგებდნენ, რომ ას კაცს გაუჭირდებოდა. ერთი ასეთი ლოდის ატანისას ძმებს კიბეებზე ფეხი დაუცურდათ, თავი ვეღარ შეიმაგრეს, გადმოვარდნენ. ისინი ლოდმა ქვეშ მოიყოლია.

გაშრა, დადუმდა ხალხი. შეწყდა მუშაობა, ისმოდა მხოლოდ უბედური დედის მწარე გოდება. გული დაუფლითა ქალს შვილების უბედურებამ, თითქოს მიწასთან გაასწორა, მაგრამ სამშობლო კვლავ ახსოვდა მთიელ ქალს, — სადაც იყო მტერი კარზე მოადგებოდა. იძალა სამი დაღუპული ვაჟკაცის დედამ, ისევ იმან გამოაფხიზლა ყველანი.

ახმაურდა ხალხი, ამოქმედდა, დაიარაზმა. „დედის ენით ხომ ჭეშმარიტება ლაპარაკობსო“, — წამოიძახეს მათ.

გაჩაღდა მშენებლობა და სულ მალე ამაყად გადმოდგა მთაზე ღვთისმშობლის ციხე, რომელიც მთიელი ქალის დიდი ნებისყოფით და სამშობლოს დაუოკებელი სიყვარულის ძალით იყო ნაშენი.

იბრძოდა მტერი და უფრო ძლიერად კი მთიელნი იბრძოდნენ. ისინი ზვარაკად ეწირებოდნენ საყვარელ სამშობლოს. მტრის სისხლით ღებავდნენ ტანჯვით ნაშენ ციხის კიდლებს. დამარცხდა მტერი, კუდამოძუებული გაიქცა. მტერთან ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი მთიელი დედა უგონოდ დაეცა ღვთისმშობლის ციხის კიდლებთან.

საუკუნეებს თავისი გაუტანია და ციხეს ქონგურები მორღვევია, მაგრამ თავისი შნო და ლაზათი მაინც შერჩენია. იგი დგას ამაყად სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ვაჟკაცივით და თითქოს ყველა მნახველს ეუბნება: „საქართველოს მიწა-წყლის დასაცავად ბევრი უცხოელი დამპყრობის ფარხმალი დაილეწა ჩემს კიდლებზე, ბევრი შავბნელი საუკუნე უნახავთ ჩემ დახავსებულ ლოდებს, ბევრის მომსწრე, ბევრის მნახველი ვარ, და ომი აღარ მსურს, აღარ მსურს ვიყო მოწმე ადამიანთა ულმობელი რბევა-ქცევისა, მინდა ჩემი კიდლები უდრტვინველად და შეურყეველად იდგნენ, იდგნენ და მხოლოდ წარსულზე ლაპარაკობდნენ. ლაპარაკობდნენ ქართველი ხალხის ვაჟკაცობაზე, სულის გმირობაზე და დღევანდელ მშვიდობაზე“.

[-10]

ფ. 18/26

სპორტული მიმოხილვა

საქართველოში უჩვეულო ზამთარია. დიდი ყინვები დაიჭირა. თოვლი არა და არ დადნა. და მაინც სულ მოკლე ხანში დარი დადგება. საჭადრაკო სიცხის პოლუსის ცენტრი თბილისში, რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გადმოინაცვლებს. აქ უჯრედებიან დაფას მოუსხდებიან მსოფლიოს გვირგვინის ორგზის მფლობელი **ნონა გაფრინდაშვილი** და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის პრეტენდენტი **ალა კუშნირი**. ნონა ეს-ეს არის ჰოლანდიიდან დაბრუნდა, სადაც ვეიკ ან ზეს საჭადრაკო ფესტივალში მონაწილეობდა. ქალთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი აიღო რუმინელმა საერთაშორისო ოსტატმა ნიკოლაუმ. და ეს არავის გაჰკვირვებია, რადგან ნონა... ვაუებს ეპაექრებოდა. დიდად გახმაურდა ჩეხოსლოვაკიელ კოზმასთან გადადებული პარტია. კოზმამ მსაჯებს გადასცა კონვერტი, რომელშიც მომავალი სვლა იყო ჩაწერილი. დაფასთან გაჩნდნენ დიდოსტატები ამერიკელი ლომბარდი და ჩეხოსლოვაკიელი კავალეკი, რომლებმაც პოზიციას თავიანთი „დიაგნოზი“ დაუსვეს — ყაიმი. ორი დღის მერე კი განახლებულ პარტიაში ნონამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ასე აჯობა სამ მამაკაცს ერთმა ქართველმა ქალმა. დღეს ჰოლანდიური ფესტივალი უკვე წარსულს ეკუთვნის. წინ კი უდიდესი „ბრძოლაა“, რომელმაც ოთხი წლის ვადით მსოფლიოს ახალი ჩემპიონის სახელი უნდა გამოაცხოს.

საქართველოს სპორტული სამყარო უკანასკნელი წლების განმავლობაში ძლიერ შეაფოთა **კალათბურთელთა** წარუმატებლობამ. საკავშირო პირველობებში მონაწილე „მრისხანე“ გუნდმა თბილისის „დინამომ“, არაერთგზის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა, სახე იცვალა და მარცხს მარცხზე განიცდიდა. დაიკარგა სპორტული სიფიცხე. გულგრილობა გუნდს მეორეხარისხოვანთა სიისაკენ ეწეოდა. გუნდში ახალი მწვრთნელი მოვიდა — წარსულში განთქმული კალათბურთელი. სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევან ინწკირველი, და გუნდიც თითქოს შეიცვალაო. იმავე კალათბურთელებმა ამჯერად სულ განსხვავებული თამაში გვიჩვენეს. საქმე ისიც არ არის, რომ **შარშან გუნდმა გრძელვადიანი, მარათონული პირველობა ყველაზე უკეთ განვლო და ჩემპიონის სახელი დაიკაუთრა.**

შარშანდელმა გამარჯვებამ, რა თქმა უნდა, სიხარული მოგვიტანა, მაგრამ გულის სიღრმეში მცირეოდენი ეჭვი ჩაგვისახლა: შემთხვევით ხომ არ იყო შარშანდელი წარმატება? და აი წლევანდელი პირველობის პირველ წრე დამთავრდა, თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი კვლავ გათამაშების ცხრილის სათავეშია აბსოლუტურად უკეთესი მაჩვენებლებით. ალაპარაკდა სპორტული სამყარო. თბილელთა მატჩებს ყველაზე მეტი მაყურებელი ესწრებოდა „შინაც“ და „გარეთაც“. დღეს უკვე იმედით ვუცქერთ თბილისელთა მომავალს ანუ მეორე წრეს და გაბედული, ზუსტი თამაში მომავალ გამარჯვებათა საწინდრად გვევლინება.

დიდი საერთაშორისო შეჯიბრება **მძლეოსნობაში** ან, როგორც მას ვუწოდებთ, — „ოთხი მანეჟის ტურნე“ ჩვენში ტრადიციული ასპარეზობა გახდა. წლევანდელმა ასეთმა შეჯიბრებამ სტარტი რიგაში აიღო და საგულისხმო შედეგები მოგვცა. გათამაშების მეორე საფეხურმა ტალინში გადაინაცვლა, სადაც წარმატებით გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი იევლევა. მან თარჯრბენში 55 მეტრზე ქალთათვის ახვენა დრო — 8 წამი. ეს წლევანდელი წლის საუკეთესო შედეგია.

ქართველმა **ფეხბურთელებმა** შარშან გული დაგვწყვიტეს, ჯერ იყო და მთელი პირველობის გათამაშებისას ქუთაისის „ტორპედო“ ერთთავად „ბეწვის ხიდზე“ მიმოდიოდა. გუნდმა შესაძლებლობაც დაბლა ითამაშა და ბოლო დღეებამდე ქვემო ლიგაში გადასვლის მიჯნაზე იყო. წარმოუდგენელი დაძაბვისა და ძალთა მოკრების შედეგად ქუთაისელი ფეხბურთელები უმაღლეს ლიგაში მაინც დარჩნენ. ლამაზი, ფიცხი და შემტევი თამაშის მქონე გუნდს ქვეყნის პირველობაზე მაყურებელთა სიმცირე არ განუცდია, მაგრამ სილამაზეს ქულები არ მოაქვს და სპორტული მაჩვენებლები ქულათა და გარეგნული მომხიბვლელობის სინთეზის დროს უფრო შთამბეჭდავია — დღეს ქუთაისის „ტორპედოს“ სათავეში ახალი მწვრთნელი ჩაუდგა, შეემატა რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი, და გუნდი მომავალი ჩემპიონატისათვის მზადებას შეუდგა. ვიმედოვნებთ, რომ წელს ქუთაისელები დაკარგულ სახელს აღადგენენ და უკეთეს ადგილსაც მიაღწევენ.

და მაინც საქართველოს ფეხბურთის მოყვარულთა მთელი ყურადღება თბილისის დინამოელებს ეკუთვნით.

შარშან სეზონის ბოლოს თბილისის „დინამომ“ შედარებით უკეთესი თამაში აჩვენა და რამდენიმე შთამბეჭდავ გამარჯვებას მიაღწია. მეშვიდე ადგილი თავისთავად ასეთი კლასის გუნდისათვის „ვერაფერი შვილია“, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რომ გუნდს ტრავმებმა და მწვრთნელთა ცვლამ სეზონის შუაში უწია, სურათი ნათელი გახდება. დღეს გუნდს სათავეში ჩაუდგნენ წარსულში სახელოვანი ფეხბურთელები გივი ჩოხელი და ვლადიმერ ბარქაია. ზამთრის არდადეგებისას გუნდმა იმოგზაურა კამპოჯასა და სინგაპურში და ყველა თამაში მოიგო. გუნდში რამდენიმე ფეხბურთელი მიიღეს ახალგაზრდული ნაკრებიდან. ფეხბურთელები ამჟამად ბაკურიანში გადიან წვრთნას და რამდენიმე დღეში თბილისში დაბრუნდებიან.

ზ. რცხილაძე.

რამდენიმე სტრიქონით

● ხაშურის სავაგონო დეპოში შემოიღეს საპატიო წიგნი, რომელშიც საწარმოს ვეტერანთა სახელები შეაქვთ. საპატიო წიგნში შეტანილია 15 მუშა, რომლებმაც 25-35 წელი იმუშავეს საწარმოში. ესენი არიან დამხმარე საამქროს ოსტატი დიმიტრი გელაშვილი, ზეინკლები სიმონ ქიტიაშვილი, გიორგი პაქსაშვილი და სხვები.

● ჩოხატაურის ლ მ ა მშრომელებმა შეხვედრა მოუწყეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ოთარ კობერიძეს. პოპულარულმა კინომსახიობმა ო. კობერიძემ დამსწრეებს მოუთხრო თავის შემოქმედებით მუშაობაზე.

● ადიგენის რაიონის სოფელ უდის მცხოვრებლებმა ახალი კულტურის სახლის გახსნა იზეიმეს. კულტურის სახლი იტევს 650-მდე მაყურებელს.



შ. კოგახიძე.



ა. სარჩმელია.



ვ. ლალიაშვილი.

მიხეილ დავითის-ძე ჩხაიძეს, დაბადებულს 1920 წელს ქ. მახარაძეში, ეძახს დედა — გოგუცა ვახტანგის ასული ჩხაიძე.

მიხეილ დიმიტრის-ძე ჯიჭურაძეს, დაბადებულს 1906 წელს კასპის რაიონის სოფელ ახალშენში, ეძახენ — დედა ეფემია თევდორეს ასული, მეუღლე — თამარ გიორგის ასული, შვილები — ნუნუ, ოთარ, გურამ ჯიჭურაძეები.

ძმებს **ვასილ ლუკას-ძე ხელაძეს** (დაბადებულს 1906 წელს ვანის რაიონის სოფელ ზედა გზვანში), **ალექსანდრე (სანდრო) ლუკას-ძე ხელაძეს** (დაბადებულს 1912 წელს) და **გრიგოლ (გრიშა) ლუკას-ძე ხელაძეს** (დაბადებულს 1916 წელს), ეძახენ ძმა — ვახტანგ ლუკას-ძე ხელაძე, დები — ოლია, ჟენია, მარო და ლამარა ლუკას ასული ხელაძეები.

შალვა ევგენის-ძე კოგახიძეს, დაბადებულს 1923 წელს ქ. თბილისში, ეძახენ მამა — ევგენი ნესტორის-ძე, და — ქ. თევან ევგენის ასული კოგახიძეები.

სიმონ სილოვნის-ძე ოგოლაძეს, დაბადებულს 1903 წელს ხაშურის რაიონის სოფელ გომში, ეძახს მეუღლე — თამარ იაგორის ასული სხირტლაძე.

დაგეძებენ, მოგელიან

ვალიკო კონსტანტინეს-ძე ლალიაშვილს, დაბადებულს 1925 წელს ქ. თბილისში, ეძახენ დედა — თამარ გაბრიელის ასული, მამა — კონსტანტინე (კოტე) გიორგის-ძე, ძმა — ნოდარ კონსტანტინეს-ძე ლალიაშვილები.

შაქრო დავითის-ძე მელელაშვილს, დაბადებულს 1908 წელს გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში, ეძახენ მეუღლე — ვარა გაბრიელის ასული, შვილები — ოთარ, მერი, გიორგი მელელაშვილები.

ალექსანდრე გიორგის-ძე სარჩმელიას, დაბადებულს 1907 წელს ქ. თბილისში, ეძახენ მეუღლე — ქსენია მიხეილის ასული, შვილები — ბორისი, ვალოდია სარჩმელიები.

ნიკოლოზ (კოლია) ისაკის-ძე გვასალიას, დაბადებულს 1919 წელს ცხაკაიას რაიონის სოფელ სორში, ეძახს ძმა — ვალიკო ისაკის-ძე გვასალია.

მიხეილ არონის-ძე ალელიშვილს, დაბადებულს 1896 წელს ქ. ახალციხეში, ეძახს შვილი — ალექსანდრე მიხეილის-ძე ალელიშვილი.

გრიგოლ სერგოს-ძე გრიგორიანს, დაბადებულს 1913 წელს ქ. ახალციხეში, ეძახს შვილი — კლარა გრიგოლის ასული გრიგორიანი.



მ. ჩხაიძე.



შ. მელელაშვილი



მ. ჯიჭურაძე

გამოიწერეთ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: 227 მეტრის საშუალო ტალღაზე ანუ 1322 კილოჰერცის სიხშირეზე, 30,83 მეტრის მოკლე ტალღაზე ანუ 9730 კილოჰერცის სიხშირეზე.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით 50,59 მეტრის მოკლე ტალღაზე ანუ 5930 კილოჰერცის სიხშირეზე.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართია

თბილისი, გ. ათონელის, ქ. № 25.